საქართველოს მთავრობის

დადგენილება №39

2025 წლის 19 თებერვალი

ქ. თბილისი

„სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის №385 დადგენილებაში (სსმ, №168, 24/12/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №2 დანართის („დებულება სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ“) მე-7 მუხლს მე-19 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 19^1 პუნქტი:

„19^1. სამედიცინო დაწესებულება, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ახორციელებდა ქიმიოთერაპიულ სერვისს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ქიმიოთერაპიული მომსახურების ახალი სანებართვო დანართის მოპოვებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის 1 იანვრისა, უფლებამოსილია, ქიმიოთერაპიული მომსახურება განახორციელოს „ონკოლოგიაში“ სანებართვო დანართის ფარგლებში, თუ შესაბამისი სახელმწიფო პროგრამით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**